



გიორგი ჯანგველაძე

1999 წელს ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, გიორგი ჯანგველაძემ სწავლა განაგრძო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასპირანტურაში.

2003 წელს მუშაობა დაიწყო **საქცემენტის** ქარხანაში, ცემენტის დაფქვის საამქროს თანამშრომლად. 2014 წლამდე ჰაიდელბერგცემენტის რუსთავის ცემენტის ქარხანაში იკავებდა საწარმოო პროცესების ინჟინრის, პროდუქციის ხარისხის მართვის და საწარმოო პროცესების მართვის მენეჯერის თანამდებობებს.

2014-2019 წლებში იყო **ჰაიდელბერგცემენტის** რუსთავის ცემენტის ქარხნის მენეჯერი.

წლების განმავლობაში ცემენტის სექტორში სხვადასხვა პოზიციაზე მიღებული გამოცდილების შემდეგ, 2020 წელს გიორგი ჯანგველაძე დაინიშნა **ჯერმან ცემენტის** ტექნიკური დირექტორის თანამდებობაზე.